სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 173/01-01, 18. 12.2013წ.

დანართი 1

იტალიურენოვანი გაცვლითი პროგრამები
თსუ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის

კანდიდატების შერჩევა 2013 - 2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის

1. **კონკურსის მიზანი:**
   კონკურსის მიზანია სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების მიერ იტალიურენოვანი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ერთსემესტრიანი სასწავლო სტიპენდიების მოპოვება 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

2. **კანდიდატის შეფასება:**
   კანდიდატის შეფასება ხორციელდება დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით

<u>შეფასების კრიტერიუმები</u>

მოტივაცია	10 ქულა
ზეპირი პრეზენტაცია	10 ქულა
აკადემიური მოსწრება	10 ქულა

ქულების განაწილება ზეპირი პრეზენტაციისთვის, მოტივაციისთვის
აკადემიური მოსწრებისთვის:

10 ქულა	ბრწყინვალე
9 ქულა	ძალიან კარგი
8 ქულა	კარგი
7 ქულა	დამაკმაყოფილებელი
6 ქულა	საკმარისი
5 ქულა და ნაკლები	არადამაკმაყოფილებელი

თუ აპლიკანტმა შეფასების ერთ–ერთ კომპონენტში მიიღო არადამაკმაყოფილებელი ქულა, მისი კანდიდატურა იხსნება განხილვიდან.

გამარჯვებული და სარეზერვო კანდიდატების გამოვლენა მოხდება რანჟირების მეთოდით.